ახალი ხარაგაული

357 (16) 20 ივლისი, 2017 წ

იმერეთის გუბერნატორმა მუნიციპალიტეტის გამგებელთან ერთად ხარაგაულში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მოინახულა

11 ივლისს ხარაგაულს იმერეთის მხარის რწმუნებული - გუბერნატორი **გივი ჭიჭინაძე**, პირველი მოადგილე **პაატა ნადირაძე** და ვიცე–გუბერნატორი **გიორგი ჭიღვარია** სტუმრობდნენ. გუბერნატორმა თანმხლებ პირებთან და ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მუნიციპალიტეტის გამგებელ **ნიკოლოზ თოფურიძესა** და მოადგილე **არჩილ მაღრაძესთან** ერთად, მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები მოინახულა, რომელსაც სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი **ლენა აბაშიძე**, გამგებლის წარმომადგენელი ხუნევის ადმინისტრაციულ ერთეულში **კახა ლომიძე**, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი **ოთარ ლურსმანაშვილი**, ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი **თემურ თაბუკაშვილი** და ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ჯაბა ბერაძე** ესწრებოდნენ. პირველ ეტაპზე სტუმრებმა სოფელ ვერტყვილაში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს და მოსახლეობას გაესაუბრნენ. ადგილობრივები გზაზე ბეტონის საფარის დაგებით გახარებული არიან და ხელისუფლების მიმართ კმაყოფილებას გამოთქვამენ. ისინი მადლობას უხდიან მუნიციპალიტეტის გამგებელს, **ნიკოლოზ თოფურიძესა** და ხუნევის მაჟორიტარ დეპუტატს, **ლენა აბაშიძეს**, იმ აქტიურობისთვის, რის შედეგადაც სულ მალე ვერტყვილას კეთილმოწყობილი გზა ექნება. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 124 909 ლარია.

ვიზიტის ფარგლებში მხარისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა საზეიმო ვითარებაში გახსნეს გედსამანიაში ახლად რეაბილიტირებული გზა. სოფლის ცენტრალური გზის 3 კმ–იან მონაკვეთზე ბეტონის საფარი დაიგო და სანიაღვრე არხები მოეწყო. პროექტი რეგიონალური განვითარების ფონდიდან 277 380 ლარით დაფინანსდა.

იმერეთის გუბერნატორმა **გივი ჭიჭინაძემ** შესრულებული სამუშაოები დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ ძლიერი სოფელი

ჩვენი ხელისუფლების ერთ- ერთი მთავარი პრიორიტეტია.

„სამხარეო ადმინისტრაცია აგრძელებს იმერეთში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონახულებას. სასიამოვნოა, როდესაც ისეთ სოფლებში, სადაც გზა არასდროს ყოფილა, დღეს თანამედროვე სტანდარტის გზაა. აღსანიშნავია, რომ წელს ხარაგაულში უპრეცედენტო რაოდენობის პროექტები კეთდება. შესრულებული სამუშაოებით კმაყოფილი ვარ. გედსამანიაში მეორედ ვიმყოფები და ეს სოფელი არა მარტო ხარაგაულში, არამედ იმერეთში გამორჩეულია თავისი ისტორიით, ინტელექტითა და სტუმართმოყვარეობით. “ - აღნიშნა გუბერნატორმა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, **ნიკოლოზ თოფურიძის**, თქმით, სახელმწიფოს სათავეში არის ძალა, რომელმაც ზუსტად დაინახა სოფლის პრობლემები. გამგებელი ამბობს, რომ მოსახლეობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა. თოფურიძის ინფორმაციით, რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილ თანხებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 5%-იანი თანადაფინანსება დაემატება და მთლიანობაში, 6, 5 მილიონი ლარით, მუნიციპალიტეტის 26 სოფელში 45 კმ. გზას ჩაუტარდება სრული კაპიტალური რეაბილიტაცია.

ხუნევის მაჟორიტარი დეპუტატი, **ლენა აბაშიძე**, განმარტავს, რომ აღნიშნული გზის რეაბილიტაციას საფუძველი კობა ლურსმანაშვილის გამგებლობის პერიოდში ჩაეყარა, თუმცა ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ სამუშაოები პირნათლად ვერ შეასრულა და ხელშეკრულება შეუწყდა. ქალბატონი ლენა აქვე დასძენს, რომ სამუშაოები მიმდინარე წელს დასრულდა.

„სოფელი თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ნამდვილად იმსახურებდა კეთილმოწყობილ გზას. მოსახლეობა ძალიან გახარებულია და ჩვენთვის ეს ორმაგად სასიამოვნოა. მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ მეტად მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაში წვლილი შეიტანა.“ - დასძინა ხუნევის მაჟორიტარმა დეპუტატმა.

სოფლის მკვიდრი, **ფატი ჩადუნელი**, იხსენებს, რომ გზა მთლიანად დანგრეული იყო და წვიმიან ამინდში გადაადგილება შეუძლებელი ხდებოდა. ქალბატონი ფატი ახლად რეაბილიტირებული გზით კმაყოფილია და ამბობს, რომ ინფრასტრუქტურის მოწესრიგება სოფელში ეკონომიკის განვითარებასა და მიგრაციის პროცესების შეჩერებას შეუწყობს ხელს.

ნოდარ ჩადუნელს იმის მოლოდინი არასდროს ჰქონდა, რომ გედსამანიაში გზა გაკეთდებოდა. თუმცა დღეს სხვაგვარად არის განწყობილი ხელისუფლების მიმართ და მისი სურვილია, მომავალში გზა ეკლესიამდე მობეტონდეს.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული მონაკვეთი ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიაზეა განთავსებული. გზა ამ დრომდე სრულად ამორტიზებული იყო, რაც საფრთხეს უქმნიდა ქვეითებისა და ტრანსპორტის გადაადგილებას.

მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში გაზიფიცირების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. სოფელ ისლარის მოსახლეობას უკვე შესაძლებლობა აქვს ბუნებრივი აირით ისარგებლოს. იმერეთის გუბერნატორმა **გივი ჭიჭინაძემ**, ვიცე-გუბერნატორმა **პაატა ნადირაძემ**, „სოკარ ჯორჯია გაზის“ იმერეთის ოფისის მენეჯერმა **დავით ჯაიანმა**, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ნიკოლოზ თოფურიძემ** და გამგებლის პირველმა მოადგილემ, **არჩილ მაღრაძემ**, ისლარში **ავთანდილ კიკნაველიძისა** და **ნინო ფხალაძის** ოჯახში გაზი სიმბოლურად აანთეს. აღნიშნულ სოფელში გაზიფიცირება 2017 წელს მოხდა და ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა 60 ადგილობრივ ოჯახს მიეცა. ამავე წელს გაზიფიცირდა ჯაფაროულიც. ხოლო 2016 წელს მუნიციპალიტეტის ოთხ სოფელში: ბაზალეთი, თეთრაწყარო, ახალსოფელსა და ჩხერში გაკეთდა ბუნებრივი აირის მაგისტრალი. ინდივიდუალური დაერთება ეტაპობრივად გაგრძელდება, ამჟამად სამუშაოები ჯაფაროულსა და ბაზალეთში მიმდინარეობს. „სოკარ ჯორჯია გაზიდან“ მიღებული ინფორმაციით, წლის ბოლომდე ხარაგაულის ექვსივე სოფელი გაზიფიცირდება.

ნიკოლოზ თოფურიძის თქმით, მოსახლეობის ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა, სოფლის ეკონომიკური გაძლიერების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა და ადგილობრივებს ხელს შეუწყობს ყოფითი პირობების გაუმჯობესებაში. გამგებელი გვპირდება, რომ უახლოეს მომავალში მუნიციპალიტეტში კიდევ რამდენიმე სოფლის გაზიფიცირება მოხდება.

ისლარის მკვიდრი **ნინო** ფხალაძე ამ მეტად მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებით მოხარულია და მადლიერებას გამოხატავს ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ. ქალბატონ ნინოს ნამდვილად არ სჯეროდა, გაზსადენის მშენებლობა ასე მოკლე დროში თუ დასრულდებოდა, მაგრამ მისი ოჯახი უკვე ბუნებრივი აირის მომხმარებელთა რიცხვს შეემატა.

ლახუნდარაში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, მოინახულა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. ლახუნდარის ცენტრალური გზა იმ პროექტთა შორის ერთ-ერთია, რომლის რეაბილიტაცია დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს და სულ მალე სოფლის მოსახლეობას კეთილმოწყობილი გზით შეეძლება გადაადგილება. ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ნიკოლოზ თოფურიძემ** და გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა, მალხაზ ფხალაძემ, დაათვალიერეს. ადგილზე იმყოფებოდა ასევე გამგებლის წარმომადგენელი წყალაფორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, **რევაზ სხილაძე**.

პროექტის ფარგლებში, ლახუნდარაში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფლის ცენტრალური გზის 2 200 მეტრიან მონაკვეთს. გზის გასწვრივ მოეწყობა სანიაღვრე არხები.

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროცესი სექტემბრის შუა რიცხვებში დასრულდება.

ლახუნდარა წყალაფორეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდინარე ბორიმელას ხეობაში, მდებარეობს. სოფელში 2014 წლის აღწერით 365 ადამიანი ცხოვრობს და მუნიციპალური ცენტრიდან 13 კილომეტრითაა დაშორებული.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

თეატრის ენა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ენა, რომელზეც პერსონაჟები ლაპარაკობენ.. .

10 ივლისს ხარაგაულის ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრი (რეჟისორი **ირინე ჩხეიძე**) ლატვიის ქალაქ ლიმბაჟიდან დაბრუნდა, სადაც მონაწილეობა მიიღო სამოყვარულო თეატრების საერთაშორისო ფესტივალზე სახელწოდებით „თამაშები სიამოვნებისთვის“. ესაა ფესტივალი ღია სივრცეში ერთმანეთისთვის იდეების, ხელოვნებაში დაგროვილი გამოცდილების, თუ სხვადასხვა ქვეყნის კულტურული სიახლეების გასაზიარებლად. საკმაოდ მრავალფეროვანია ფესტივალის პროგრამა და სწორედ ეს მრავალფეროვნება იძლევა ახალი გამოცდილებების შეძენის შესაძლებლობას. სპექტაკლები არ ითარგმნება, მაყურებელი ეცნობა წინასწარ ნათარგმნ მოკლე შინაარსს, თუმცა თეატრალური ენა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ენა, რომელზეც მსახიობები და პერსონაჟები ლაპარაკობენ. კარგი თეატრი ამ ჯადოსნურ ენას იმ ეფექტის მისაღწევად იყენებს, რომელიც უნდა, რომ მაყურებელზე მოახდინოს. ენის გაგება არ არის მთავარი და ძალიან ხშირად საკმარისია მოკლე შინაარსი.. .

ხარაგაულის შემოქმედებითმა დასმა ლიმბაჟის თეატრალურ ფესტივალზე უკვე მესამედ მიიღო მონაწილეობა და ამჯერადაც, როგორც ფესტივალის ორგანიზატორების, ისე ლიმბაჟის ადგილობრივი მოსახლეობის სიყვარული დაიმსახურა.

პირველად 1991 წელს წარდგა სპექტაკლით „დარისპანის გასაჭირი“ და დიდი მოწონება და ოვაციები დაიმსახურა... მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. 2015 წელს საქართველოს კულტურის სამინისტროს რეკომენდაციით ხარაგაულის სახალხო თეატრი კვლავ გაემგზავრა ლიმბაჟში სპექტაკლით „თანამდევი სული“, რამაც უცხოელ მაყურებელში დიდი ემოციები გამოიწვია. მას შემდეგ არ შეწყვეტილა ურთიერთობა ამ ორი ქვეყნის პროვინციულ თეატრებს შორის.

„ვფიქრობ, რომ კულტურას გაცილებით დიდი წვლილის შეტანა შეუძლია ხალხთა დაკავშირებასა და დამეგობრებაში, ვიდრე პოლიტიკას. ამის ნათელი დადასტურება გახლავთ ის, რომ ლიმბაჟში ხარაგაულს იცნობენ, უყვართ. .. ისე გვხვდებიან ქუჩებში, როგორც ჩვენი თანამემამულეები. ლატვიასა და საქართველოს შორის მეგობრულ ურთიერთობებსა და სიყვარულში, ვფიქრობ, პატარა წვლილი ჩვენს თეატრსაც მიუძღვის. “ - ამბობს თეატრის რეჟისორი ირინე ჩხეიძე და იქ გატარებულ ყოველ წამს დიდი სიამოვნებითა და სიყვარულით იხსენებს. „ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ პროვინციის თეატრი ასე აქტიურად მონაწილეობს ფესტივალში და გადის საქართველოს ფარგლებს გარეთ. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან უზარმაზარ გამოცდილებას ვიძენთ. წლების განმავლობაში ფესტივალი იზრდება, უფრო მასშტაბური ხდება. წელს მოიცავდა 28 ღონისძიებას, აქედან 21 სპექტაკლი იქნა ნაჩვენები. ჩვენთან ერთად მონაწილეობდნენ: უკრაინის, დანიის, ლიტვის, ლატვიის თეატრალური დასები. ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანი პროგრამა იყო წარმოდგენილი ახალი, თანამედროვე მიმდინარეობებით, რასაც საქართველოში ვერ ვნახავთ. შთამბეჭდავი იყო უკრაინისა და დანიის სპექტაკლები. ჩვენ დიდი პატივი გვხვდა წილად და მასპინძლების თხოვნით ორჯერ ვითამაშეთ ძალიან გემოვნებიანი და მაღალი დონის პუბლიკის წინაშე. ქართული დასის გამოსვლას სოფელ პალეშიც და ლიმბაჟშიც დიდი ოვაციები მოჰყვა. ლატვიის ტელევიზიაში ორი კვირით ადრე გადიოდა

ჩვენი სპექტაკლის სარეკლამო რგოლი და დიდი მოწონებით სარგებლობდა, ალბათ ამიტომაც არცერთი ქვეყნის თეატრს არ ჰყოლია ამდენი მაყურებელი, როგორიც „დარისპანის გასაჭირს“, უამრავი ადამიანი, რომელიც სპექტაკლს თვალს ადევნებდა, სიხარულსა და კმაყოფილებას ვერ მალავდა. კიდევ უფრო სასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ ფესტივალის დახურვის პატივი ჩვენ გვხვდა წილად. მათი მხრიდან ყოველი ფეხის ნაბიჯზე იგრძნობოდა დიდი სიყვარული და პატივისცემა ჩვენი ქვეყნისადმი. საოცარი ემოცია გამოიწვია იმანაც, რომ ჩვენ მათ სიმღერებს ვასრულებთ მათ მშობლიურ ენაზე, ეს განსაკუთრებულად მოსწონთ. საოცარი მასპინძლობა გაგვიწიეს. სპეციალურად ჩვენთვის მოაწყეს გამოსამშვიდობებელი საღამო ქალაქგარეთ. “ - დიდი სიამაყითა და სიამოვნებით აღნიშნავს რეჟისორი.

ვასილ კიკნაძე, ხარაგაულის კულტურის ცენტრის დირექტორი, თეატრის მსახიობი: „ამჯერად ხარაგაულის თეატრის მესამე ჩასვლა იყო ლიმბაჟში ფესტივალზე, რომელიც არის საკმაოდ მაღალი დონის, კარგად ორგანიზებული ფესტივალი. 2015 წელს, როცა მეორედ გახლდით ფესტივალზე, იქ იმყოფებოდა დანიელი ექსპერტი, რომელმაც საუკეთესო შეფასება მისცა ჩვენს სპექტაკლს და აღნიშნა, რომ სცენაზე არა მოყვარული მსახიობები, არამედ მაღალი დონის პროფესიონალები თამაშობდნენო.. . წლევანდელ ფესტივალზე ორჯერ ვითამაშეთ, დასწრება იყო არნახული, არცერთი ქვეყნის სპექტაკლის მიმართ არ ყოფილა ასეთი დიდი ინტერესი, აპლოდისმენტები, სიყვარული, როგორიც ჩვენ მიმართ. მასპინძლების თხოვნით ვიმღერეთ ქართული სიმღერები და ლატვიურადაც შევასრულეთ, რასაც მათი მხრიდან დიდი ემოციები მოჰყვა. ჩვენ მუდმივად გვაქვს ურთიერთობა ერთმანეთთან და იმედს ვიტოვებთ, ისინიც ესტუმრებიან საქართველოს მალე. მადლობა მინდა, გადავუხადო მუნიციპალიტეტის გამგებელს, **ნიკოლოზ თოფურიძეს,** რომელმაც ძალიან ბევრი რამ გააკეთა, რომ ჩვენ მონაწილეობა მიგვეღო ფესტივალზე, ასევე სს „საქართველოს რკინიგზას“ დაფინანსებისთვის და ირინე ჩხეიძეს. მან უდიდესი შრომა ჩადო, როგორც გამგზავრების ორგანიზებაში, ასევე ხარაგაულის თეატრის ღირსეულად წარდგენაში. ჩვენ არ ვწყვეტთ შრომას, გვაქვს მოსამზადებელი პერიოდი, კარგი გეგმები.. . ჩამოვედით ლიმბაჟიდან და არანაკლებ საინტერესო ამბები დაგვახვედრა ჩვენმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „უბისმა“, რომელმაც ქობულეთში ფესტივალზე საუკეთესო საშემსრულებლო ოსტატობისთვის ლაურეატის წოდება მიიღო. ვულოცავ მათ კიდევ ერთ წარმატებას“.

ლუიზა კიკნაძე, თეატრის მსახიობი: როცა პირველად ვეწვიეთ ლიმბაჟს, მაშინაც პელაგიას როლი შევასრულე „დარისპანის გასაჭირიდან“. 1990 წელს გურჯაანში ჩატარდა რესპუბლიკური ფესტივალი, სადაც სტუმრად იმყოფებოდა ლატვიის თეატრის ხელმძღვანელი. ჩვენმა თეატრმა ფესტივალზე გრანპრი აიღო და სწორედ მაშინ მივიღეთ პირველი შემოთავაზება ლიმბაჟის თეატრალური ფესტივალიდან. წელსაც პელაგიას როლი შევასრულე, მაგრამ, ვფიქრობ, ყველა შესრულებისგან განსხვავებული ემოცია მქონდა. ენობრივმა ბარიერმა ხელი არ შეუშალა მაყურებელს, ისეთი ოვაციები და აპლოდისმენტები მივიღეთ, არასოდეს დამავიწყდება.. დიდი შთაბეჭდილებებით დავბრუნდი ლატვიიდან. მადლობა ჩვენს რეჟისორს, ქალბატონ ირინე ჩხეიძეს, რომ კიდევ ერთხელ გვაზიარა ასეთ სიხარულს.

დავით ჭყოიძე, მოყვარული მსახიობი: პირველად ვიყავი გასტროლზე თეატრთან ერთად. საინტერესო სპექტაკლებს დავესწარით და ამ მოკლე დროში დიდი გამოცდილება მივიღეთ. დახვედრა იყო არაჩვეულებრივი, საოცარი ემოციებით.. . ვგრძნობდი, რომ ყველაზე მეტს ჩვენს თეატრს ეფერებოდნენ. გავიცანით ბევრი ადამიანი, ვნახეთ, როგორ მუშაობენ, როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავიანთ საქმეს. თუ თამაშობ გულით და დიდი ემოციით, აუცილებლად მიიტან სათქმელს მაყურებლამდე. ვფიქრობ, ჩვენ ეს შევძელით... „თამაშები სიამოვნებისთვის“ ამართლებს სახელს, რადგან ფესტივალზე ყველამ უდიდესი სიამოვნება მივიღეთ“.

ირინე ჩხეიძე ამბობს, რომ ლატვიელი ხალხისთვის ხელოვნება ბევრს ნიშნავს და ისინი საოცარი პატრიოტები არიან. „სოფელ პალეში, სადაც პირველად ვითამაშეთ, განთავსებულია სოფლის მუზეუმი. გაოცდებით, ისე სათუთად აქვთ შენახული ძველი ნივთები და როგორ უვლიან და უფრთხილდებიან. იქ ვიგრძენი და გავაცნობიერე, ჯერ კიდევ მრავალი წლის წინ, თუ რას ნიშნავს სიტყვა პატრიოტიზმი, საქმით გამოხატული და არა მარტო სიტყვით... კიდევ უფრო მიმტკიცდება გრძნობა, რომ ლატვიელები ნამდვილი პატრიოტები არიან და ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით მათი თავდადებისა და შრომის შედეგს. მე ვისურვებდი, რომ ჩვენი ქვეყანა მენახოს ისეთი მოწესრიგებული, თუნდაც ღრმა სიბერეში, კმაყოფილი და ბედნიერი ვიქნები!“ - დასძინა ქალბატონმა ირინემ.

ჩვენთან საუბარში ხარაგაულის თეატრის რეჟისორი კიდევ ერთხელ გამოხატავს მადლიერებას მუნიციპალიტეტის გამგებლის ნიკოლოზ თოფურიძის მიმართ, რომელმაც დიდი შრომა გაწია, რათა დასი ფესტივალზე წარმდგარიყო, ასევე მადლობას უხდის კულტურის სამინისტროს გაწეული რეკომენდაციისთვის, სს „საქართველოს რკინიგზას“ დაფინანსებისთვის და ყველა იმ ადამიანს, ვინც ფიქრობს და ზრუნავს თეატრისთვის.

ვუსურვებთ ჩვენს საამაყო თეატრს კიდევ ბევრ ნაყოფიერ გასტროლებს! მადლობა მათ, რომ თავდაუზოგავად შრომობენ, რათა ყოველთვის ღირსეულად წარდგნენ არა მარტო საკუთარი მაყურებლის წინაშე, არამედ ქვეყნის ფარგლებს გარეთ და მუდამ მაღალი დონის ხელოვნებას გვაზიარონ!

ᲚᲔᲚᲐ ᲒᲣᲒᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

გამგებლის პირველი მოადგილე, არჩილ მაღრაძე, მოქალაქეებისათვის სმენის აპარატების გადაცემის პროცესს დაესწრო

სულ რამდენიმე ხნის წინ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სმენადაქვეითებულ ბავშვთა გამოსავლენად შვედმა ექიმებმა კვლევა ჩაატარეს, რომლის ფარგლებში 900-მდე მოსწავლე შემოწმდა. ძირითადად, აქცენტი I-IV კლასის აღსაზრდელებზე გაკეთდა და ამათგან 122-ს სმენის პრობლემის სხვადასხვა სტადია დაუდგინდათ, რომლებსაც სასმენი აპარატები უფასოდ გადაეცათ. ა(ა)იპ „ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრში“ (დირექტორი **შმაგი ხიჯაკაძე**)მოქალაქეებისთვის სმენის აპარატების გადაცემის პროცესს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე არჩილ მაღრაძე და ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი, **ჯაბა ბერაძე**, დაესწრნენ.

როგორც ჩვენთან საუბარში პროგრამის კოორდინატორი, **მაია ჯონსონი** აღნიშნავს, სმენის პრობლემის მქონე პირებს უმაღლესი ხარისხის აპარატები უსასყიდლოდ გადაეცათ.

აღსანიშნავია, რომ შვედი ექიმების მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული ქველმოქმედება, დაახლოებით, 100 000 ლარის ღირებულებას შეადგენს.

გამგებლის პირველმა მოადგილემ, **არჩილ მაღრაძემ**, მადლობა გადაუხადა ქალბატონ მაია ჯონსონს მუნიციპალიტეტში ასეთი მნიშვნელოვანი აქციის განხორციელებისთვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მსგავს ინიციატივებს ყოველთვის დაუჭერს მხარს.

ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ

ᲡᲘᲡᲚᲚᲘᲡ ᲒᲐᲚᲑᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲐ ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ კიცხში სისხლის გაღების აქცია - „თქვენ დღეს სიცოცხლე გადაარჩინეთ“ - ჩატარდა. შპს „ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის“ მიერ ჩატარებულ აქციაში, რომლის ორგანიზატორები იყვნენ: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობა და გამგებლის თანაშემწე გენდერულ საკითხებში, ინგა ბერაძე, მონაწილეობა მიიღეს: მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, გამგებლის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ და კიცხის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებმა. დონორ მოქალაქეებს დაუდგინდათ სისხლის რეზუსი და ჯგუფი, ჩაუტარდათ ასევე კვლევები ვირუსებზე (შიდსი, სიფილისი, A, B და C ჰეპატიტი).

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ნიკოლოზ თოფურიძემ**, მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ კეთილ საქმეში და დასძინა, რომ გაღებული სისხლი საქართველოს მასშტაბით მდებარე კლინიკებში, საჭიროებისამებრ, გადანაწილდება. გამგებლის განმარტებით, აღნიშნული აქციით ყველას მიეცა საშუალება, თანადგომა გამოეხატა იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც დახმარება ესაჭიროებათ.

შპს „ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ინსტიტუტის“ ადმინისტრაციულ მენეჯერ, **თამარ დოლაბერიძის**, ინფორმაციით, ჯანდაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინიციატივით მოხდა სისხლის ბანკის მობილური ჯგუფის შექმნა, რომლის მიზანია უანგარო დონორების მოძიება. როგორც ქალბატონი თამარი განმარტავს, მსგავსი ტიპის ღონისძიებები საქართველოს ყველა რეგიონში ტარდება.

შეგახსენებთ, რომ სისხლის გაღების მსურველთა ასაკი განისაზღვრება 18–დან 60 წლამდე და დონორი არ უნდა იყოს B დაC ჰეპატიტის ვირუსის მატარებელი.

ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ

საკრებულოს სხდომას გამგებლის პირველი მოადგილე, არჩილ მაღრაძე, დაესწრო

12 ივლისს გამართულ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა მორიგი საბიუჯეტო ცვლილება განიხილეს. საკითხი მათ საფინანსო -საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **ვლადიმერ გელაშვილმა**, გააცნო. მომხსენებლის ინფორმაციით, მიმდინარე წელს რეგიონალური განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს დამატებით 2 მილიონ-ნახევარი ლარი გამოეყო, რომლითაც მუნიციპალიტეტში 10 ინფრასტრუქტურული პროექტი დაფინანსდება.

სხდომას გამგებლის პირველი მოადგილე, **არჩილ მაღრაძე**, ესწრებოდა, რომელიც დეპუტატთა კითხვებს პასუხობდა.

საკრებულოს წევრმა, **რომან შერგელაშვილმა**, სარგვეშის ადმინისტრაციულ ერთეულში გზების სავალალო მდგომარეობაზე ისაუბრა.

არჩილ მაღრაძის განმარტებით, ხელისუფლების პრიორიტეტია ყველგან მოწესრიგდეს ინფრასტრუქტურა, თუმცა ერთ წელიწადში ყველა სოფლის პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია. „მიმდინარე წელს საბეში ხიდი გაკეთდება, ასევე, ვცდილობთ, დავასრულოთ სოფელში არსებული ბიბლიოთეკის მშენებლობა. რაც შეეხება ხორითს, უხვი ნალექის მიერ მიყენებული ზარალის დეფექტური აქტები შედგენილია და თანხის გამოყოფის შემდეგ შესაძლებელი იქნება ამ გზის მოწესრიგება.“ - დასძინა ბატონმა არჩილმა.

გამგებლის პირველი მოადგილის ინფორმაციით, წელს ხარაგაულს ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის 6 მილიონი ლარი გამოეყო და გამგეობა ცდილობს, პარალელურად დამატებითი თანხები კიდევ მოიზიდოს. არჩილ მაღრაძე, იმედოვნებს, რომ ტენდერებიდან დაზოგილი თანხებით კიდევ განხორციელდება სხვა პროექტები. მისივე თქმით, ფინანსთა სამინისტროს უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად მუნიციპალიტეტმა 1 100 000 ლარი მოსთხოვა.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲛᲐᲦᲠᲐᲫᲔ

„ჩემს სამშობლოში მე -ემიგრანტი ...“

კარგა ხანია, რაც „ახალ სივრცეებზე მყარად დაბინადრდნენ“ (მ. გ) ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი და მისი შემოქმედი ქალბატონი იზა ვეფხვაძე. თუმც იმ სივრცის დიაპაზონი, რასაც ამ პატრიოტი ქალბატონის დიდი შინაგანი ენერგია სწვდება, მარტოოდენ აღნიშნული სფეროთი როდია შემოფარგლული: რუსთაველის საზოგადოების ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ხარაგაულის ორგანიზაციის თავმჯდომარე, საქართველოს ქალთა მოძრაობის „ქალები სიცოცხლისა და მშვიდობისათვის“ , საქართველოს ქალთა საბჭოსა და „საქართველოს ლიდერი ქალების“ , გურამ რჩეულიშვილისა და გრიგოლ ფერაძის საზოგადოების წარმომადგენელი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, არაერთი საფუძვლიანი პროექტის ავტორი და წარმატებით განმახორციელებელი.. .

აი, მიახლოებითი ჩამონათვალი იმ საპატიო მისიისა, რაც იზა ვეფხვაძის ყოველდღიური ზრუნვა-შთაგონების არეალს მოიცავს.

აქედან ერთ -ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტთან, ბატონ დავით შემოქმედელთან, შეხვედრა, რომელიც ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის (დირექტორი ლალი ალექსიძე) დარბაზში მოეწყო.

პოეტის, პროზაიკოსისა და ესეისტის, დავით შემოქმედელის, წიგნების ჩამონათვალიც კი საკმარისია („ სიმაღლე“ , „დუმილის ხმა“ , „ჩემი ნილი ცა“ , „გახუნებული პეიზაჟები“ , „ტაძართან“ , „რას ტვიფრავ სულზე“ „ჩემს სამშობლოში მე-ემიგრანტი“ , „სიტყვებს მილმა“ , „რატომ ტირიან ჩიტები ზამთარში?“ .. .), რომ განვსაზღვროთ იმ სივრცის დიაპაზონი, რომელსაც „დაეპატრონა“ სამშობლოს ბედზე დაფიქრებული მამულიშვილი.

ხარაგაულის საზოგადოების დიდი სიხარული გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ საპატიო სტუმარს ახლდნენ: დიდი მომღერლის, მარო თარხნიშვილის, ღირსეული შთამომავალი, მისი ნიჭის გამგრძელებელი შვილიშვილი, ყველასათვის უსაყვარლესი კომპოზიტორი მარიკა კვალიაშვილი; სანქტ-პეტერბურგში მოღვაწე ღირსეული ქართველი, მუდამ კეთილ საქმეთა შემოქმედი, რუსეთისა და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, „ქართული მწერლობის ამაგდარის“ წოდების მფლობელი, არაერთი მედლის კავალერი და პრემიების ლაურეატი, სანქტ-პეტერბურგში რუსთაველის ძეგლის აღმართვის ინიციატორი და დამფინანსებელი, 12 პოეტური კრებულის ავტორი, მეცენატი და ქველმოქმედი ავთანდილ ბუთხაშვილი.

ავტორის მიერ საკუთარ პოეტურ სამყაროზე აგებული სცენარი-კომპოზიცია „ჩემს სამშობლოში მე -ემიგრანტი“ შთამბეჭდავი დეკლამაციით წარმოადგინეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის ნორჩმა ხარაგაულელმა ჩოხოსნებმა (დასის თავმჯდომარე პროფესორი გოგი დოლიძე, ხარაგაულის ფილიალის თავმჯდომარე ბესიკ სახვაძე). ხარაგაულელ „ პატარა რაინდთა ბიოგრაფია“ ლამაზად, უკვე ძალიან ლამაზად იწერება.. . სამიოდე თვის წინ მათ საფლავდაკარგულ გულმხურვალე მამულიშვილს, სიმონიკა ბერეჟიანს, აუსრულეს ანდერძი და მისი პოემა „პაემანი მთაწმინდაზე“ სწორედ მთაწმინდის პანთეონიდან წაიკითხეს.. .

ამჯერად კი პატარა ჩოხოსნებმა აღნიშნული სცენარით გაითავისეს ყველა ის ტკივილი, სიხარული და ოცნება, რაც ესოდენ მარად თანამდევია ჩვენი ღირსეული სტუმრის, ბატონ დავით შემოქმედლისათვის, იმ პიროვნებისათვის, რომელიც სხვა მრავალ ჯილდოსთან ერთად დავით აღმაშენებლის, გალაკტიონ ტაბიძის, ნიკო ლორთქიფანიძისა და ივანე მაჩაბლის პრემიების ლაურეატია.. .

* * *

„ეს ყოფა რაა, გრძელი ქვითინი,
ჯვარცმის რა მწარე ჟამი მელოდა.. .
ჩემს სამშობლოში მე-ემიგრანტი-
სამშობლოს ვეძებ საქართველოდან.
სინათლე თითქოს დამარხულია,
რა ეშველებათ ჩიტებს ავდარში?
და გადარჩენის ფიქრში ოცნების
ჩუმად შევდივარ, როგორც ტაძარში... “ -

წარმოთქვამს ჩოხოსანი გურამ ლურსმანაშვილი და მამულზე ფიქრით გაჯერებულ სტრიქონებს აგრძელებენ ხანჯალზე ამაყად მარჯვენაჩავლებული „რაინდები“ .

დავით შემოქმედელის პოეტური სტრიქონების ჟღერადობას აძლიერებდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ხარაგაულის სასულიერო გიმნაზიის მგალობელ-მომღერალთა გუნდის (რეგენტი თორნიკე ბაკურაძე) მიერ შესრულებული საგალობლები: „მამაო ჩვენო“ („ლოცვა“), „გული ჩემი აღავსე“ და სიმღერები: „ცა-ფიროუზ.. . “ და „მრავალჟამიერი“ .

ნამდვილი აღმოჩენაა ღონისძიების წამყვანი მარიამ მდივნიშვილი, რომელმაც საზოგადოება მოხიბლა საოცარი დეკლამაციით. გვჯერა, მარიამი კვლავ მრავალ ღონისძიებაზე მოგვევლინება და არა მარტო წამყვანის სტატუსით.

ამაღლებულმა განწყობილებამ მოიცვა დარბაზი, როცა ვუსმენდით საამაყო სტუმრებს: დავით შემოქმედელს, მარიკა კვალიაშვილს, ავთანდილ ბუთხაშვილს. მათი ნაამბობიდან გამომდინარე, გვექმნება რწმენა იმისა, რომ ჩვენი პატარა მასპინძლები : მათე, სანდრო, დავითი, გურამი, ნიკუშა, საბა, ნიკოლოზი, ლუკა, არმაზი, კესო, მარიამი, თამარი და მათი სხვა თანატოლები ნამდვილად იცხოვრებენ გაბრწყინებულ ივერიაში.. .

დაე, იცხოვრონ,
იცხოვრონ,
იცხოვრონ,
ამინ!

P. S. *ძვირფასო მკითხველო!*

გაცნობებთ, რომ ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურული თეატრი პროექტით „ჩემი საქართველო აქ არის!“ 5 აგვისტოს, შაბათს, დღის 3:00 საათზე ახალციხეში, რაბათის ციხის ციტადელში მართავს რეზო თაბუკაშვილისადმი მიძღვნილ სპექტაკლს „მე წავალ, მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დავრჩები!“

მერი გიორგიძე

გამგებლის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ, ამერიკელი მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლებს უმასპინძლა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს, ამერიკელი მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლები სტუმრობდნენ. წელს ხარაგაულს ორი მოხალისე ეწვია და ისინი ვარძიასა და ბორში ორი წელი დარჩებიან. ნიკ სარაფონგი (ვარძია) და დორა დუჩაკი (ბორი) სკოლის მოსწავლეებს ინგლისურ ენას შეასწავლიან.

ბორის სკოლა-პანსიონის დირექტორის, ჰამლეტ ბერაძის, ინფორმაციით, მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლები აქტიურად ჩაერთვებიან ხარაგაულის საზაფხულო ბანაკებში და მონაწილეობას მიიღებენ ლაშქრობებში, რათა უფრო ახლოს გაიცნონ მუნიციპალიტეტი. გამგებლის თანაშემწე გენდერულ საკითხებში, ინგა ბერაძე, ამბობს, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, შესაძლოა, ამერიკელი მოხალისეების ჩართულობით დაბაში სხვადასხვა აქტივობა დაიგეგმოს. მისი განმარტებით, რაც უფრო მეტი ადამიანი გაიგებს, რა მნიშვნელოვანი როლი აქვთ ამერიკელ მეგობრებს ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების განვითარებაში, მით უფრო მაღალი იქნება მოტივაცია ბევრი მოხალისე მოხვდეს ხარაგაულის სკოლებში.

არჩილ მაღრაძემ, წარმატებები უსურვა მშვიდობის კორპუსის წარმომადგენლებს და მომავალში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მათი ჩართულობით ერთობლივი პროექტების განხორციელებაში მზადყოფნა გამოთქვა.

ექსკურსია მრავალშვილიანი დედებისთვის

ძალზე საინტერესო, სასიამოვნო და შინაარსიანი დღე გაატარეს 7 ივლისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა სოციალურად დაუცველმა მრავალშვილიანმა დედებმა ბორჯომის ხეობასა და სამცხე-ჯავახეთში. საკრებულოს თავმჯდომარის, **მანანა ბარბაქაძის**, ინიციატივით, სწორედ ამ ულამაზეს კუთხეში მოეწყო მათთვის ექსკურსია. ამ უმშვენიერეს დღეს მათთან ერთად იმყოფებოდნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შექმნილი გენდერული საბჭოს წევრები: საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, **დავით კიკნაძე**, ბაღდათი - ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი, ოთარ ლურსმანაშვილი, გამგებლის თანაშემწე გენდერულ საკითხებში, **ინგა ბერაძე**, სოციალური მომსახურების სააგენტოს ხარაგაულის რაიონული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, **ნაზი გველესიანი**.

ექსკურსანტებმა მოილოცეს საფარა და მწვანე მონასტერი, მოიხიბლნენ განახლებული რაბათის სილამაზით. დღის ბოლოს კი თავიანთი შთაბეჭდილებები გაგვიზიარეს.

ნაზი ჩარქსელიანი (ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები):

,, ხშირად მსმენია, რომ აღდგენილი რაბათი საოცარი სანახავია. ვნატრულობდი, საკუთარი თვალით მეხილა, მაგრამ არ მქონდა საშუალება. დიდი მადლობა ქალბატონ მანანას. ეს დღე ენერგიასა და ძალას მმატებს, იმედს მისახავს, რომ ხვალინდელი დღე კიდევ უკეთესი იქნება. ჩვენ დიდი ისტორიის მქონე ხალხი ვართ. დაე, ჩვენმა შვილებმა და მომავალმა თაობამ შეძლოს ამ ისტორიის სახელოვნად გაგრძელება სწავლითა და თავდადებული შრომით. “

თეონა ღამბაშიძე (ხუნევის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები): „ქალბატონი მანანა სიკეთით აღსავსე პიროვნებაა. მან მართლაც დაუვიწყარი და შთამბეჭდავი დღე გვაჩუქა, რისთვისაც მინდა, გულწრფელი მადლობა გადავუხადო. ტაძარში არა მარტო ჩემი შვილებისა და ოჯახისათვის ვილოცე, არამედ ყველა იმ კეთილი ადამიანისთვის, რომელიც სხვაზე ფიქრობს, სხვისი სიხარული ახარებს და ცდილობს, გვერდით დაგიდგეს, გაგრძნობინოს, რომ მარტო არ ხარ“ .

ექსკურსიის დასასრულს ქალბატონმა მანანამ მრავალშვილიან დედებს სამახსოვრო სიგელები გადასცა და მათ ჯანმრთელობა, ოჯახის სიმტკიცე და ბედნიერება უსურვა.

. აღსანიშნავია, რომ ექსკურსია საკრებულოს თავმჯდომარის წარმომადგენლობითი ხარჯებიდან დაიფარა. ქალბატონმა მანანამ კი საექსკურსიო სხვა ხარჯები საკუთარი ფინანსებიდან გაიღო.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია მუშაობას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, აგრეთვე ხელმძღვანელობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებით.

კომისიის წევრები არიან: იუზა კელენჯერიძე, ქეთევან ზუმბაძე, თორნიკე ავალიშვილი, კობა გოგსაძე, ინგა მაღრაძე, ომარ გაგოშიძე, მერაბ ტალახაძე, ვლადიმერ ტალახაძე, ჯამბულ გამცემლიძე, ნონა ზურაბიანი, მარინე ვეფხვაძე, გია გრიგალაშვილი, დავით ლურსმანაშვილი, დავით კიკნაძე, ლენა აბაშიძე და თეიმურაზ კალანდაძე. კომისიის მუშაობაში მონაწილეობენ- როგორც პოზიციის, ასევე ოპოზიციის წარმომადგენლები და დამოუკიდებელი დეპუტატები.

კომისიის სხდომებს თავმჯდომარეობს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი, ხოლო სხდომების მდივანი გახლავთ ლენა აბაშიძე.

საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 21 (ოცდაერთი) სხდომა. მათ შორის, როგორც რიგგარეშე, ასევე მორიგი სხდომები.

ჩვენ განვიხილეთ და მოვამზადეთ დასკვნები დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ ნორმატიული აქტების პროექტებზე. შემუშავებული დასკვნების მიხედვით ცალსახად იკითხება, რომ კომისიამ, უმეტეს შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხების საკრებულოს სხდომაზე განხილვა, თუმცა საბიუჯეტო ცვლილების პროექტების განხილვისას ზოგიერთ შემთხვევაში გაიცა უარყოფითი დასკვნა და გამგეობაში გადაიგზავნა შესაბამისი წერილი ინიცირებული წინადადებების დამატებით შესწავლისა და კორექტირების მიზნით. მაგალითისთვის, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მხარი არ დაუჭირა დამტკიცებულ ბიუჯეტში სოციალური და ინფრასტრუქტურული მშენებლობების ხარჯის შემცირებას და გამგეობას ეთხოვა, გამოენახათ სხვა რესურსი დამატებითი ვალდებულებების შესასრულებლად, ასევე, დაუსაბუთებლობისა და დეტალური ფინანსური განწერის არარსებობის გამო ჩვენ მხარი ვერ დავუჭირეთ უსინათლო პირთა ხელშეწყობის მიზნით ცენტრალური ბიბლიოთეკის ბაზაზე პროგრამის განსახორციელებლად მოთხოვნილი თანხის გამოყოფას.

განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვაში კომისიის ჩართულობაზე. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის განხილვის მიზნით საჯარო შეხვედრები მოაწყო მოსახლეობასთან, საკრებულოს კომისიებთან, ფრაქციებთან, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან და შეხვედრების ანალიზის შემდგომ შეიმუშავა გარკვეული რეკომენდაციები. კომისიამ მოითხოვა ბიუჯეტში ასახულიყო ხარჯი დაბის ცენტრალურ პარკში ატრაქციონების შეძენის მიზნით, გაზრდილიყო სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების დაფინანსება, დაგეგმილიყო კანონით გათვალისწინებული მინიმალური ხარჯი საჯარო მოხელეთა სწავლა-გადამზადებისათვის, ბიუჯეტში ჩადებულიყო სახსრები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციისათვის, გაგვეთვალისწინებინა სოფლის მეურნეობის პროგრამების დასაფინანსებელი თანხა, წარმატებული სპორტსმენების წახალისებისათვის დაგვეგეგმა აუცილებელი ფინანსები. ჩვენი უპირველესი შენიშვნა ეხებოდა ბიუჯეტის პროექტის მიხედვით დაგეგმილ გამგეობის საპრემიო ფონდის შემცირებას, რაც გათვალისწინებულ იქნა აღმასრულებელი ორგანოს მხრიდან. საბოლოო ჯამში, მუნიციპალიტეტის გამგეობამ ჩვენ მიერ შემუშავებული შენიშვნების ნაწილი გაითვალისწინა, ხოლო დანარჩენი წინადადებების გაუთვალისწინებლობის მიზეზად დაასახელა ფინანსური რესურსის სიმწირე. აქვე უნდა ითქვას, რომ საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივითა და ჩვენი თანამონაწილეობით მინიმუმადე იქნა დაყვანილი საკრებულოს ადმინისტრაციული ხარჯები. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის პროექტის განხილვისას დეპუტატთა ნაწილის შენიშვნები და პრეტენზიები არ ყოფილა წარმოდგენილი წერილობითი სახით, ასევე არ წარმოუდგენიათ ალტერნატიული ბიუჯეტი, რისი განხილვისათვის მზად იყო ჩვენი კომისია. მიგვაჩნია, რომ ფინანსური რესურსის საკმარისობასთან ერთად ბიუჯეტის პროექტის განხილვისას მეტი აქტიურობა და დეტალური მსჯელობაა საჭირო, რათა შემდგომში, საბიუჯეტო წლის განმავლობაში, ხშირად და ნაჩქარევად არ გვიწევდეს ცვლილებების შეტანა დამტკიცებულ ბიუჯეტში.

საანგარიშო პერიოდში მოვისმინეთ ანგარიში ბიუჯეტის კვარტალური და წლიური შესრულების თაობაზე. გავაკეთეთ გარკვეული რეკომენდაციები, რომლებიც წარმოვადგინეთ საკრებულოს სხომაზე. კომისიამ ცალსახად აღნიშნა, რომ სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხების ათვისების დონე დაბალი იყო და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით ადგილობრივი შემოსავლებიდან არასაკმარისად გაიხარჯა თანხები. ასევე, ჩვენ გამგეობას მივუთითეთ, რომ სოციალური მიმართულებით დაგეგმილი ხარჯების გაცემა დროულად უნდა მოხდეს და, ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტს თავი შეეკავებინა დამატებითი ვალდებულებების აღებისაგან. ფაქტია, რომ ბიუჯეტის გარკვეულ შემოსავლებში შეუსრულებლობის მიზეზი არ გამხდარა მუნიციპალიტეტზე დამოკიდებული გარემოებები. აქვე, ჩვენი ერთსულოვანი მოთხოვნა იყო, მომხდარიყო წარმატებული სპორტსმენების წახალისება და ამ პროგრამის შეჩერება მიზანშეუწონლად მივიჩნიეთ. კომისიის მიერ განხილულ იქნა შესყიდვების გეგმის შესრულების ანგარიში, სადაც გამგეობის მხრიდან ცალსახად განიმარტა, რომ მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციები შესყიდვებთან და სხვა დანარჩენ საკითხებთან დაკავშირებით.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში შემოსულ წერილებზე რეაგირება მოხდა კომისიის მხრიდან უფლებამოსილების ფარგლებში. მაგალითისთვის, დეპუტატების - ინგა მაღრაძისა და ქეთევან ზუმბაძის - მოთხოვნა გათვალისწინებულ იქნა და ჩვენი კომისიის უფლებამოსილების ფარგლებში განვიხილეთ რიგი საბიუჯეტო ორგანიზაციების აუდიტორული შემოწმების შედეგები, ასევე ფინანსური ხარჯვის შესახებ მოვისმინეთ ინფორმაციები. დეპუტატებს შეეძლოთ, ა(ა)იპ-ებ-ის წარმომადგენლებისათვის დაესვათ მათთვის საინტერესო შეკითხვები, თუმცა უმჯობესი იქნებოდა, საბიუჯეტო ორგანიზაციების პასუხისმგებელ პირებს გამოეჩინათ მეტი ანგარიშვალდებულება და დაინტერესებული პირების დეტალური ინფორმირება მოეხდინათ.

აქვე უნდა ითქვას, ჩვენ ხშირად გვესმის, რომ საბიუჯეტო თანხების ხარჯვის მეტი ეფექტურობის მიზნით იგეგმება ა(ა)იპების რეორგანიზება, შტატების გადახედვა, თანაბრობის პრინციპიდან გამომდინარე, სახელფასო ანაზღაურების დაზუსტებები და ასე შემდეგ, თუმცა დღემდე რაიმე კონკრეტული გეგმა განსახილველად არ წარმოდგენილა საკრებულოში უფლებამოსილი ორგანოს მიერ. ცხადია, ჩვენი მხრიდან ამ მიმართულებით მეტი აქტიურობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა, მკაცრი ღონისძიებები გატარებულიყო მონიტორინგის კუთხით. ჩვენი აქტიურობის მთავარი მიზანია, მოხდეს დაგეგმილი ბიუჯეტის შესრულება და შემოსავლების გონივრული განკარგვა. ჩვენ განვიხილეთ 2017 წელს რეგიონალური განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებლი და მოსაწონებელი საპროექტო წინადადებების ნუსხა, რომელშიც შევიტანეთ გარკვეული შენიშვნა, რისი გათვალისწინებაც გამგეობამ მოახერხა. შენიშვნის მიხედვით, საპროექტო წინადადებების ნუსხას დაემატა წინადადებები სოფელ ვარძიისა და სოფელ ღარიხევის სასოფლო გზების რეაბილიტაციის თაობაზე, რაც მნიშვნელოვანია.

კომისიამ ასევე იმსჯელა საბავშვო ბაღებში არსებულ პრობლემებზე, რომლებიც ძირითადად გამოწვეულია არასაკმარისი ფინანსებით. ერთხმად დავუჭირეთ მხარი საბიუჯეტო ცვლილებას, რის შედეგადაც ახლად რეაბილიტირებული ბაღების გახსნის საშუალება მიეცა მუნიციპალიტეტს. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისია საკრებულოს სხვა კომისებთან ერთად უპირობოდ მოითხოვდა, რომ სოფლებში არსებულ საბავშვო ბაღებიდან არ გათავისუფლებულიყო ტექნიკური პერსონალი, რისი გათვალისწინებაც დღემდე შეძლო გაერთიანების ხელმძღვანელობამ. ჩვენი კომისიის წარმომადგენლები მიწვეულ იყვნენ „ჩემი იმერეთის“ რედაქციასთან მოქმედი სამოქალაქო დარბაზის -„მოდი, ვიმსჯელოთ“ ფარგლებში 3 ივლისს ხარაგაულის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში გამართულ შეხვედრაზე, სადაც შეხვედრის მიზანი სკოლამდელ გაერთიანებაში არსებულ მდგომარეობაზე მსჯელობა და ხელისუფლების მხრიდან პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა იყო.

ჩვენ ღიად ვაცხადებთ, რომ ყოველთვის დავუჭერთ მხარს საბავშვო ბაღებში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, ვინაიდან აღნიშნული მიმართულება ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი უნდა იყოს.

ადგილობრივი თვითმმართველობის

გაგრძელება ▶ 4 გვ.

ხევის ადმინისტრაციულ ერთეულში უფასო სამედიცინო აქცია ჩატარდება

22 ივლისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ (დირექტორი ეკა შავიძე) ინიციატივით, ხევის ადმინისტრაციულ ერთეულში უფასო სამედიცინო აქცია გაიმართება.

სამედიცინო აქციას საერთაშორისო ასოციაცია „ საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ განახორციელებს, რომლის ფარგლებში პაციენტებს უფასოდ მოემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები: ქეთევან აბულაძე - პედიატრი, პედიატრიის, ალერგოლოგიის და რევმატოლოგიის ცენტრის ექიმი; ცირა ქრისტესიაშვილი -კარდიოლოგი, მედიცინის დოქტორი, ონკოლოგიის ცენტრის ექიმი; ლიკა ცუცქირიძე - ენდოკრინოლოგი, მედიცინის დოქტორი, დიაბეტის ეროვნული კვლევითი ცენტრის ექიმი, ასოცირებული პროფესორი; ავთანდილ უშვერიძე -თერაპევტი, ბერძნული სამედიცინო ფონდ „ჰიპოკრატეს“ ექიმი; თამარ ბეზარაშვილი - ოფთალმოლოგი, მედიცინის დოქტორი, ბერძნული სამედიცინო ფონდ „ჰიპოკრატეს“ ექიმი;მარინა სხირტლაძე - ოტოლარინგოლოგი, ბერძნული სამედიცინო ფონდ „ჰიპოკრატეს“ ექიმი; მაია სიმონოვი - გინეკოლოგი, ბერძნული სამედიცინო ფონდ „ჰიპოკრატეს“ ექიმი; კონსტანტინე ისლამიდი - ექიმი-რადიოლოგი, ბერძნული სამედიცინო ფონდ „ჰიპოკრატეს“ ექიმი; ნინო ფარღალავა - ექიმი-რადიოლოგი, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრ „საქსამედიკალის“ ექიმი;დალი რუხაძე - ნევროლოგი, ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ბავშვთა განყოფილების ფთიზიატრი-ნევროლოგი;ალექსანდრე კალანდაძე - ანგიოლოგი, თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს ბოხუას სახელობის გულსისხლძარღვთა და ანგიოქირურგიის ცენტრის ექიმი; მანანა არუთინოვა - ექიმი-ლაბორანტი, ბერძნული სამედიცინო ფონდ „ჰიპოკრატეს“ ექიმი; ნათელა ჩინჩალაძე - ბერძნული სამედიცინო ფონდ „ჰიპოკრატეს“ ექთანი (კარდიოგრამის გადამღები).

პაციენტებს, საჭიროებიდან გამომდინარე, ასევე ჩაუტარდებათ უფასო ექოსკოპიური, კარდიოლოგიური და ლაბორატორიული გამოკვლევები. მამაკაცებს გაუკეთდებათ პროსტატის ანალიზი (PSA ტესტი 50-დან 70 წლამდე) , ქალებს PAP ტესტი (საშვილოსნოს ყელის ციტოლოგიური კვლევა). ასევე მათ უფასოდ გადაეცემათ ფართო სპექტრის მედიკამენტები.

პაციენტების მიღება ხევის საჯარო სკოლაში 11. 00- დან 19სთ-მდე მოხდება.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ტელ: 595-51-98-12.

კიცხის ტაძარში სამეუფეო წირვა ჩატარდა

10 ივლისს სოფელ კიცხის წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელობის ტაძარში სამეუფეო წირვა აღევლინა. წმინდა გიორგი მთაწმინდელის ხსენების დღესთან დაკავშირებით ყოვლადუსამღვდელოესმა მარგვეთისა და უბისის ეპისკოპოსმა მელქისედეკმა (ხაჩიძე), საეკლესიო პარაკლისი გადაიხადა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე, დეპუტატი იუზა კელენჯერიძე, გამგებლის წარმომადგენელი კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში გია ჩხიკვაძე და ადგილობრივები ესწრებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ტაძარი 2014 წლის 10 ივლისს ეკურთხა და ამ დღიდან იგი წმინდა გიორგი მთაწმინდელის სახელს ატარებს.

თამარ მაღრაძე

ნიდაბურში საბავშვო ბაღის მშენებლობა აქტიურდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ნადაბურში, ადგილობრივების მოთხოვნის გათვალისწინებით, საბავშვო ბაღის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. სოფელში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება აქამდე არასდროს ყოფილა. მოსახლეობის აზრით, ეს ერთ-ერთი ხელშემწყობია, რათა არ მოხდეს სოფლის დაცლა. ნადაბურის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის, ზურაბ შუბითიძის, ინფორმაციით, სარეაბილიტაციო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „TV-KA“ ასრულებს და სამუშაოები მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს დასრულდება. შუბითიძე ამბობს, რომ დღეის მდგომარეობით სოფელში 35-მდე სკოლამდელი ასაკის ბავშვია, რომლებიც მოუთმენლად ელოდებიან ახალი ბაღის გახსნას. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული პროექტი „რეგიონალური განვითარების ფონდიდან“ 150 ათასი ლარით დაფინანსდა.

ეკა შავიძე

ღორეშა-ბაზალეთის გზის რეაბილიტაციის მიზნით გამოცხადებული ტენდერი შედგა

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ღორეშა-ბაზალეთის გზის რეაბილიტაციის მიზნით გამოცხადებული ტენდერი შედგა. ტენდერი 30 მაისს გამოცხადდა, წინადადებების მიღება კი 30 ივნისს დასრულდა. პროექტის ფარგლებში მობეტონდება 11 კმ გზა, რომლითაც ხარაგაული ბაზალეთი - სარგვეში - ღორეშა -უბისის მიმართულებით თბილისი-სენაკი-ლესელიძის ცენტრალურ მაგისტრალს დაუკავშირდება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს შერჩევა-შეფასების პროცედურა და გამარჯვებული კომპანია რამდენიმე დღეში გამოვლინდება.

შეგახსენებთ, რომ უბისა-ღორეშა-სარგვეში-ბაზალეთი-ხარაგაულის ცენტრალური გზის 21 კილომეტრიან მონაკვეთზე 5 კმ. და 500 მეტრი სიგრძის გზის მობეტონება უბისა-ღორეშის მიმართულებით 2016 წელს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დაფინანსდა, ხოლო ხარაგაული-ბაზალეთის მიმართულებით 3 კმ. სიგრძის გზა ასევე 2016 წელს მოასფალტდა.

წიფაში ცენტრალურ გზას რეაბილიტაცია ჩაუტარდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, **ნიკოლოზ თოფურიძის**, ინფორმაციით, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფაში სოფლის ცენტრალურ გზას (დაახლოებით, 2000 მეტრამდე) კაპიტალური რეაბილიტაცია ჩაუტარდება. პროექტის ღირებულება საერთო ჯამში 235 069 ლარია, მათ შორის, თანადაფინანსების სახით ადგილობრივი ბიუჯეტი 12 069 ლარს გაიღებს.

შეგახსენებთ, რომ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან ასევე ფინანსდება გოლათუბნის 1, 5 კმ. გზის მონაკვეთი, რისთვისაც 170 274 ლარი დაიხარჯება. ზემოთ ხსენებული გზის სიგრძეს ემატება 500 მეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია, რომელსაც რეგიონალური განვითარების ფონდი აფინანსებს. 2017 წელს, საბოლოო ჯამში, სოფელ გოლათუბანში ბეტონის საფარი 2 000 მეტრზე დაიგება.

აღსანიშნავია, რომ მთის განვითარების საბჭოს წევრი ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილია, რომელიც აქტიურად მუშაობდა აღნიშნული გზების დაფინანსების მიზნით.

ეკა შავიძე

ხარაგაულის ქუჩებისა და ჩიხების რეაბილიტაცია იწყება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაბა ხარაგაულის ქუჩებისა და ჩიხების რეაბილიტაციის მიზნით, დაჩქარებული წესით, სამდღიანი ტენდერი გამოაცხადა. ტენდერი 180 ათას ლარზე 17 ივლისს გამოცხადდა. წინადადებები 22 ივლისიდან 24 ივლისამდე მიიღება. 180 ათასი ლარის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროექტების განხორციელება:

დეკანოსიძის ქუჩის პირველი ჩიხის რეაბილიტაცია, სადაც ასევე მოეწყობა გზის საყრდენი კედელი; 9 აპრილის ქუჩის მეორე, მესამე, მეხუთე, მეექვსე ჩიხების რეაბილიტაცია; სოლომონ მეფის ქუჩის მეორე შესახვევის გზის რეაბილიტაცია; ნერეთლის ქუჩაზე მეორე ჩიხის რეაბილიტაცია;კიკნაძის ქუჩის გზის რეაბილიტაცია, სადაც ასევე მოეწყობა საყრდენი კედელი; დევდარიანის ქუჩის პირველი და მესამე ჩიხების რეაბილიტაცია; რეაბილიტირდება ასევე სოლომონ მეფისა და 9 აპრილის ქუჩების გადაკვეთა და მოხდება არხის გაწმენდა.

პროექტებს რეგიონალური განვითარების ფონდი აფინანსებს, რომლებზეც სამშენებლო სამუშაოები, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის ოქტომბერში დასრულდება.

იმერეთის მასშტაბით ხარაგაულის გუნდი ფინალშია

15 ივლისს სტარტი აიღო შეჯიბრმა „საქართველოს თასი ლაშქრობაში", რომელიც საქართველოს ყველა რეგიონში იმართება. მოლაშქრეთა ჩემპიონატი იმერეთიდან დაიწყო და მხარის 12 მუნიციპალიტეტიდან ფინალში მხოლოდ ხარაგაულის გუნდი „რკინისჯვარი" მოხვდა. ფინალი „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ ნაკრძალში" სექტემბერში გაიმართება, რომელშიც ყველა რეგიონის გამარჯვებული გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

ხარაგაულის გუნდის ხელმძღვანელი ბერიკა თურმანიძეა, წევრები: ვანო ბანცაძე, თიკო მეტრეველი, შოთა გოლუბიანი, ლაშა ღონღაძე, შაკო ბერაძე.

ჩემპიონატის ორგანიზატორია საქართველოს მოლაშქრეთა ეროვნული ფედერაცია და სპორტის სამინისტრო.

ჩიყვი-ფარისებრი ჯირკვლის დაავადება!

ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი (დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე) აგრძელებს დაავადებათა პრევენციის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის ინფორმირებას. 13 ივლისს N1 საბავშვო ბაღის თანამშრომლებისთვის გაიმართა ლექცია-სემინარი თემაზე: „ჩიყვი - ფარისებრი ჯირკვლის დაავადება.“

ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგია ფართოდაა გავრცელებული საქართველოში, ის მოსახლეობის 30-40%-ში გვხვდება. დაავადებას ხელს უწყობს საქართველოში არსებული ბუნებრივი იოდდეფიციტის ენდემიური კერები და გარემო პირობების ზემოქმედება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, როგორც მაღალმთიანი რეგიონი, აღინიშნება ნიადაგსა და წყალში იოდის ნაკლებობა, ეს კი განაპირობებს ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების არსებობას მაღალ პროცენტში. პრეზენტატორმა დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია ამ დაავადების გამომწვევ მიზეზებზე, რისკფაქტორებზე, გართულებებზე, თუ როგორ უნდა ამოვიცნოთ პირველადი ჩივილებით დაავადების საწყისი პერიოდი, დიაგნოსტიკაზე და ყურადღება გაამახვილა რეკომენდაციებზე.

ძირითადი და მნიშვნელოვანი რეკომენდაცია ჩიყვის პრევენციის თვალსაზრისით ისაა, რომ უნდა მოხდეს მოსახლეობის იოდიანი პროდუქტებით მომარაგება. ესენია: იოდიზირებული მარილი, იოდიზირებული წყალი, იოდიზირებული პური,

იოდიზირებული რძე, ტკბილეული და აუცილებლად მისაღები იოდით მდიდარი პროდუქტები: თევზი (სკუმბრია, ქაშაყი, ვირთევზა კალმახი), რძის პროდუქტები, ბურღულეული (ფეტვი, წიწიბურა), ზღვის კომბოსტო, თაფლი, ნიგოზი, ლიმონი, მწვანე ბოსტნეულიდან (კიტრი, მწვანე სალათის ფურცლები, ბროკოლი), ხილიდან- კივი, რომელიც მდიდარია იოდით.

ლექცია -სემინარით თანამშრომლები ძალზე კმაყოფილი დარჩნენ. პრეზენტატორმა, ნანა ბერაძემ(იმუნიზაციის ჯგუფის ხელმძღვანელის თანაშემწე) დასმულ კითხვებს ამომწურავად უპასუხა.

თამარ მაღრაძე

ყურადღება, აუქციონი!

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით განმეორებითი ელექტრონული აუქციონი გამოცხადდა. აუქციონი 2017 წლის 24 ივლისს 12 საათზე გამოცხადდება და 2017 წლის 29 ივლისს 12 საათზე დასრულდება. ინფორმაცია განთავსდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე: eauction. ge. წინასწარი შესატანი „ბე-ს“ ოდენობა საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 10%-ია. „ბიჯი“ -საწყისი საპრივატიზაციო საფასურის ასევე 10%.

გამმეორებითი აუქციონის ობიექტები						დაწარი N1		2017 წელი 24 ივლისი		
N	მირითადი საშუალებების ჩამოწათვალი.	მისამართი	საკადასტრო კოდი	ობიექტის საწყისი ღირებულება	თანხის დაკლების %	ღირებულება პროცენტის დაკლების შემდეგ	"ბეს" თანხა	"ბიჯის" თანხა	თანხის გადახდის ვადები
1	სავაჭრო ცენტრის ოთახი N2	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი სოფელი ბორითი	36.03.41.024	8400	25%	6300	630	630	ერთი თვე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

დასაწყისი ▶3 გვ.

ორგანოების თანამდებობის პირები კომისიის მოთხოვნით დაესწრნენ კომიიის სხდომებს, წარადგინეს დოკუმენტები და პასუხები გასცეს დეპუტატების მიერ დასმულ შეკითხვებს.

საანგარიშო პერიოდში კომისიაში, სამწუხაროდ, მოწვეული არ ყოფილან ექსპერტები და სპეციალისტები, რაც ძირითადად გამოწვეულია საკრებულოს მწირი ხარჯვებით.

ჩვენი კომისია აქტიურად თანამშრომლობს საკრებულოს თავმჯდომარესთან, ფრაქციებთან და საკრებულოს სხვა კომისიებთან. რამდენჯერმე დავგეგმეთ ერთობლივი სხდომები, რომლებიც საინტერესოდ და ნაყოფიერად წარიმართა.

საკრებულოს აპარატი მაქსიმალურად ცდილობს, ხელი შეგვიწყოს კომისიის ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების მოგვარებაში. არასოდეს არ ჩაშლილა დაგეგმილი სხდომა ქვორუმის არარსებობის გამო. დეპუტატებს პირადად ეძლეოდათ სხდომაზე განსახილველი საკითხების მასალები. ჩვენი კომისია დროულად რეაგირებდა საკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილებებზე ჩვენთვის განსახილველად დავალებული საკითხების თაობაზე.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ კომისიის მუშაობაში უმრავლესობასთან ერთად აქტიურად და კონსტრუქციულად არიან ჩართული კომისიის ის წევრები, რომლებიც ოპოზიციას წარმოადგენენ. მათი ჩართულობა მნიშვნელოვანია მიღებული გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობისა და დემოკრატიულობის კუთხით.

გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ კოორდინირებული თანამშრომლობა გაგვაჩნია გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან. ზოგჯერ ყოფილა საკითხების ირგვლივაც განსხვავებული მიდგომები, თუმცა ასეთი დამოკიდებულებების მიზანი იყო მხოლოდ ერთი-საზოგადოებისათვის მეტი შედეგის მომცემი გადაწყვეტილებების მიღება.

კომისიის წევრებს ხშირად გაგვაჩნდა განსხვავებული პოზიციები, გვიწევდა მსჯელობა, კამათი, რაც ჯანსაღი პროცესია. ჩვენი პოლიტიკური, სამსახურებრივი თუ პირადული შეხედულებების განსხვავებულობა არასოდეს გამხდარა კომისიის საქმიანობისა და გადაწყვეტილებების მიღების ხელისშემშლელი გარემოება.

მე, როგორც კომისიის თავმჯდომარე, მაქსიმალურად ვცდილობდი, სხდომა წარმემართა რეგლამენტის დაცვით, ყველა წევრისათვის მიმეცა აზრის გამოთქმის საშუალება, ჩვენი კომისიის სხდომები საჯარო ფორმატში მაქსიმალური ჩართულობით ჩატარებულიყო, გაშუქებულიყო და, რაც მთავარია, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის გადაწყვეტილებები ნათლად გამოხატულიყო საკრებულოს სხდომებზე.

ამ მოწვევის საკრებულოში ჩვენი ანგარიში არის ბოლო. ის, რაც ვერ შევძელით, ვისურვებდით, ჩვენს შემდგომებს გაეკეთებინოთ. ყველას გულწრფელ მადლობას ვუხდით, ვინც მონაწილეობა მიიღო ჩვენს საქმიანობაში მთელი ამ პერიოდის განმავლობაში. წარმატებებს ვუსურვებთ მომავალ კომისიას !

პატივისცემით,

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

ვარლამ ჭიპაშვილი

გამომცემელი ა(ა)იპ “ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“

მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ. №15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი

დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ. : 595-51-98-12